აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№47 (24.927) შაბათი, 14 - 16 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 21-26, შიდამთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 764 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ჯრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად, მახათას მთაზე „ჯარის ქალაქის“ მშენებლობა დაათვალიერა. როგორც მან აღნიშნა, „საქართველოს მთავრობის პოლიტიკაა, ყველაფერი საუკეთესო ჰქონდეს ჯარს და მათზე ზრუნვა მომავალშიც გაგრძელდება“. „ჯარის ქალაქის“ სამშენებლო სამუშაოები 2022 წლის ბოლოს დასრულდება. პროექტის მიხედვით მახათას მთაზე 7-სართულიანი 39 კორპუსი აშენდება, რომელშიც 1092 ბინა განთავსდება. სამხედრო მოსამსახურეები საცხოვრებელი ფართის შეძენას შედავათიანი პირობებით შეძლებენ.

* * *

საქართველოს აქვს უნიკალური ინსტრუმენტების სპექტრი იმისთვის, რომ ნატოში გაწევრიანების გზაზე პროგრესს მიაღწიოს, - ამის შესახებ ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ვინიკოვმა სტრატეგია „აღმაშენებლის“ და „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. „2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა გადაწყვიტა, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება. ამ გზაზე წარმატების მისაღწევად, რა თქმა უნდა საქართველომ წარმატებას უნდა, მიაღწიოს და დააჩქაროს ევროატლანტიკური რეფორმები“, - აღნიშნა ვინიკოვმა.

* * *

თუ აღმოჩნდება, რომ სააკაშვილს სჭირდება მკურნალობა, რომელიც მოითხოვს ისეთ რამეს, რასაც ვერ მიაწვდის ვერც პენიტენციური სამსახურის ჯანდაცვის სისტემა, ვერც საქართველოში არსებული ვერც ერთი კლინიკა, ამ შემთხვევაში, თეორიულად შეიძლება გაჩნდეს უცხოეთში გაყვანის შესაძლებლობა, - განაცხადა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მიხეილ სარჯველაძემ. მისივე განმარტებით, ეს არ ნიშნავს, რომ რამენაირად უშვებს ამის შესაძლებლობას. ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პენიტენციური დაწესებულებიდან კლინიკა „ვივამედშია“ გადაყვანილი.

* * *

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობისთვის უკიდურესად აუცილებელია არა „ვივამედში“ გადაყვანა, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლა, - განაცხადა „გირჩის“ ლიდერმა იაგო ხვიჩიამ. მისი თქმით, ეს არის რეცეპტი. „არ ვიცით, ყველა წამალი საბოლოო ჯამში განკურნავს თუ არა, მაგრამ სწორი წამლის დანიშვნა პირველი გზაა გამოჯანმრთელებისთვის. სწორი წამალი „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლაა, ეს როგორ იმოქმედებს ვნახოთ, მაგრამ თუ წამალს არ დალევ, ისე ვერ გამოჯანმრთელდები,“- დასძინა ხვიჩიამ.

მოამზადა
ია შველიძემ

2023 წელს ბათუმში WORLD TRAVEL AWARDS-ის დაჯილდოება გაიმართება

ტურიზმის ოსკარად წოდებული World Travel Awards-ის დაჯილდოება 2023 წელს ჩვენს ქალაქში გაიმართება. შესაბამის შეთანხმებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ და World Travel Awards-ის ვიცე-პრეზიდენტმა სიონ რაპსონმა ლონდონში მოაწერეს ხელი. დაჯილდოების ცერემონიალს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურიზმის ინდუსტრიის წამყვანი კომპანიები, ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული სახელმწიფო და ბიზნესორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრებიან.

2023 წელს ბათუმში დაჯილდოვდებიან მსოფლიო მასშტაბის ტურისტული ატრაქციები, მიმართულებები, სასტუმროები, ასევე, საზღვაო, საგზაო და საჰაერო ტრანსპორტის კომპანიები.

- ლონდონში ხელი მოვაწერეთ ძალიან მნიშვნელოვან შეთანხმებას World Travel Awards-ის ორგანიზაციასთან, რის საფუძველზეც მომავალ წელს ბათუმში ჩატარდება ამ პრესტიჟული დაჯილდოების გალა-ღონისძიება, გვეყოლება უამრავი სტუმარი და, ასევე, იქნება წარმოდგენილი ყველა მედიასაშუალება საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტურისტული ნაკადების აღდგენა, მინიმუმ გათანაბრება 2019 წლის კოვიდამდე არსებულ სიტუაციასთან და, რა თქმა უნდა, ასეთი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას. 2019 წელს ბათუმმა მონაწილეობა მიიღო ამ პრესტიჟულ ღონისძიებაში და გაიმარჯვა, - აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

2019 წელს ნომინაციაში - „ევროპის მზარდი ტურისტული მიმართულება“ ბათუმი World Travel Awards-ის გამარჯვებული გახდა.

ია შველიძე

„ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის“ საერთაშორისო გამოფენა ოფიციალურად გაიხსნა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ბათუმში გუშინ „ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის“ მე-13 საერთაშორისო გამოფენა ოფიციალურად გაიხსნა. ღონისძიებას ქალაქის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის მინისტრთა კაბინეტის წევრები, თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალური პირები და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ

- სასიხარულოა, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში მოხერხდა აჭარაში მსგავსი ღონისძიების გამართვა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ჩვენი უპირველესი ამოცანაა, მიმდინარე წელს ტურიზმის მაქსიმალურად აღდგენა. გამოფენაზე ტურიზმის სექტორში ჩართულ კომპანიებს საშუალება აქვთ, ადგილზე გააცნონ და ერთ სივრცეში ვიზიტიორებს საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ. ასევე, შესთავაზონ სხვადასხვა სერვისი. როგორც ყოველთვის, წარმოდგენილია მუნიციპალიტეტები, რაც ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია“, - გვითხრა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ.

იხ. გვ-2 გვ.

დასავლეთი თანმიმდევრულად ცდილობს რუსული ენერგორესურსებისგან განთავისუფლებას...

3

ყველა ადამიანში ცხოვრობს «პატარა პრინცი»

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 548 ათასი ლარით გაიზარდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებებს დაუჭირეს მხარი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 548 ათასი ლარით გაიზარდა და 29 მილიონ 718 ათასი ლარი შეადგინა. ასევე, საკრებულოს წევრებმა მოისმინეს ბიუჯეტის პირველი კვარტალის შესრულების ანგარიში.

საკრებულოს სხდომაზე მხარი დაუჭირეს ახალი ა(ა)იპ-ის „მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ შექმნას. სტრუქტურის ფუნქციონირებისთვის გათვალისწინებულია 29 საშტატო ერთეული და 268 ათასი ლარი ბიუჯეტიდან.

- ახალი ა(ა)იპ-ი შეიქმნა იმ მიზნით, რომ უფრო უკეთესად წარიმართოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობა. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ რეორგანიზაცია, არც თანამშრომლების რაოდენობა შემცირებულა და არც ბიუჯეტში შესულა ამ კუთხით ცვლილება. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან კარგ შედეგს მოგვიტანს აღნიშნული სამმართველოს საქმიანობა, - გვითხრა ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძემ.

„ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის“ საერთაშორისო გამოფენა ოფიციალურად გაიხსნა

პირველი გვერდიდან

EXPO BATUMI TRAVEL 2022 ტურიზმის სფეროში მოღვაწე ყველა კომპანიას სთავაზობს შესანიშნავ შესაძლებლობას, წარმოაჩინონ და შესთავაზონ პროდუქცია და მომსახურება ყველა დაინტერესებულ პირს, ასევე, ფართო საზოგადოებას. გამოფენის მიზანია, ტურისტული კომპანიების ერთ სივრცეში გაერთიანება, ინოვაციებისა და ახალი სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ბიზნესკონტაქტების მოძიება და სამომავლოდ საქმიანი ურთიერთობების გაგრძელება.

- ჩვენი ქალაქისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსგავსი ღონისძიებების გამართვა. ვინაიდან ტურიზმის აღდგენის თვალსაზრისით ასეთი შეხვედრები აუცილებელია. დარწმუნებული ვარ, მიმდინარე სეზონს წარმატებით ჩავატარებთ. აუცილებლად დავუბრუნდებით იმ ნიშნულს, რაც გვქონდა ტურისტების შემოსვლის თვალსაზრისით“, - გვითხრა ქალაქის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

გამოფენაში მონაწილეობს 7 ქვეყნის 80-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული კომპანია, მათ შორის სასტუმროები, სასტუმრო აღჭურვილობის მომწოდებლები, სპა-ცენტრები, დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, გასართობი დაწესებულებები, ტურ-ოპერატორები, საკურორტო ზონის მუნიციპალიტეტები, სადაზღვევო კომპანიები.

გამოფენის მხარდამჭერები არიან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო, თურქეთის ტურისტული კომპანიების ასოციაცია (TURSAB), საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ბათუმის მერია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის ტურიზმის ინდუსტრიის ფედერაცია, საქართველოს გიდების ასოციაცია, აჭარის გიდების ასოციაცია, ბათუმის ავტოტრანსპორტი, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია (IIA), თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (MUSIAD), ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (GURTIAD), საქართველოს

ბიზნესასოციაცია (BAG), საქართველოს ტელევიზიები და გაზეთები.

გამოფენის ორგანიზატორია საგამოფენო კომპანია „Geonet Expo“. EXPO BATUMI TRAVEL 2022 სპორტის სასახლეში (ლადო ასათიანის ქ. N 27) იმართება. ვიზიტიორებისთვის დასწრება თავისუფალია. გამოფენა 15 მაისს ოფიციალურად დაიხურება.

ბსუ-ში აბიტურიენტებს უმასპინძლეს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ამ დღეებში სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. მომავალ სტუდენტებს რექტორის მოადგილე თამარ სირაძე შეხვდა და უნივერსიტეტის ისტორია, საგანმანათლებლო პროგრამები, მიღწევები, სტუდენტური ცხოვრება და სამომავლო გეგმები დეტალურად გააცნო

უნივერსიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აბიტურიენტებმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კაბინეტ-ლაბორატორიები დაათვალიერეს. სკოლის მოსწავლეებმა პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად სადემონსტრაციო ცდები ჩაატარეს ფიზიკის, იმუნოგენეტიკის, კრიმინალისტიკისა და სინქრონული თარგმანის ლაბორატორიებში.

ახალგაზრდებმა ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე არსებულ ინოვაციურ ლაბორატორიაში სტუდენტების მიერ შექმნილი კონსტრუქციები, შენობა-ნაგებობების მაკეტები დაათვალიერეს და მონაწილეობა მიიღეს ფაბლაბში სხვადასხვა ნივთის დამზადებაში. შეხვედრის დასასრულ, სკოლის მოსწავლეებს საინფორმაციო ბროშურებთან ერთად, სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

2022-2023 სასწავლო წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 32 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 1 360 პირველკურსელი ჩაირიცხება.

ია შარია

„ევროპის დღეები“ – მუზეუმში

ბათუმში „ევროპის დღეების“ აღნიშვნა გრძელდება. კვირეულის ფარგლებში, ღონისძიებები ამჯერად მუზეუმებში გაიმართა. ძმები ნობელების ტექნოლოგიურ მუზეუმში თარიღთან დაკავშირებით ფოტოგამოფენა მოეწყო.

დამთვალიერებელთა წინაშე მუზეუმის დარბაზში გამოიფინა მეცხრამტე-მეოცე საუკუნეების ბათუმის ამსახველი ფოტოარქივი, რომლებზეც წარმოდგენილია იმ დროს არსებული ისტორიული ნაგებობები, პირველი რკინიგზა, ფოსტა, სასტუმროები და უცხო ქვეყნების საკონსულოები, რომელიც დაახლოებით 140 წლის წინ ჩვენს ქალაქში ფუნქციონირებდა.

- ბათუმის ევროპულ ქალაქად გადაქცევაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით იმ უცხოურ სამრეწველო ფირმებს, რომლებიც მაშინ ბათუმში დაფუძნდა და ასეთი 25 ფირმა იყო. მათგან სამი გახლდათ გამორჩეული - ნობელების, როტშილდისა და მანთაშევის. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასასრულამდე, ვიდრე საქართველოში ბოლშევიკები შემოვიდოდნენ, ბათუმში 14 ქვეყნის საკონსულო იყო, - თქვა მედიასთან საუბრისას ისტორიკოსმა, პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა.

ძმები ნობელების მუზეუმში, გამოფენის პარალელურად, გაიმართა პრეზენტაცია ფილმისა „გზა ევროპისკენ“, რომელსაც მახინჯაურის საჯარო სკოლის მოსწავლეები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის თბილისსა და რეგიონებში 17 პირი დააკავა – მათ შორის 14 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ბოლო პერიოდში, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, ქუთაისში, აჭარასა და კახეთის რეგიონში ნარკოდანაშაულისთვის 17 პირი დააკავეს, მათ შორის 14 ნარკორეალიზატორია, - ამის შესახებ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა მამუკა ჭელიძემ ბრიფინგზე განაცხადა.

დაკავებულებს ბრალი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღებაში, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და უკანონო გასაღების მცდელობაში ეძებათ. დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ბრიფინგზე აღნიშნა, „დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებისთვის დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. მათი პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალებები და ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული.“

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის მიერ მითითებული ადგილის და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს: 2945 აბი ნარკოტიკული საშუალება „ტრამადოლი“, 2586 აბი ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“, სარეალიზაციოდ გამზადებული და 71 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი , „გეკოს“ სისტემის იარაღი, ხელყუმბარა, 305 ვაზნა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 7 მჭიდი.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების, გასაღების მცდელობის, მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო გასაღების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით, 19-260-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 273-ე პრიმა მუხლის მე-8 ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ია შველიძე

დასავლეთი თანმიმდევრულად ცდილობს რუსული ენერგორესურსებისგან განთავისუფლებას...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მსოფლიო გეოპოლიტიკას რომ ეკონომიკური რესურსები განაპირობებს, საყოველთაოდ ცნობილია. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა და აქტიურობს რუსეთი, რომლის ძირითადი იარაღი ენერგორესურსებია. ვინც ფლობს ამ რესურსებს, ის კარნახობს თამაშის წესებს სხვა ქვეყნებს, ამიტომაც ისმის კითხვა - რა ფაზაშია მსოფლიოში ენერგორესურსებისათვის ბრძოლა, რა სტრატეგია შეიმუშავა დასავლეთმა რუსეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ და რამდენად მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასია ენერგორესურსების თვალსაზრისით?

ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთის დიდება ორ რამეზე იდგა - ეს იყო არმია და ენერგორესურსები. უკრაინის ომმა აჩვენა, რომ რუსული არმიის სიძლიერე იყო მხოლოდ მითი და მეტი არაფერი. რაც შეეხება ენერგორესურსებს: ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა უკვე, პრაქტიკულად, უარი თქვეს რუსულ ენერგორესურსებზე. წლის ბოლომდე გერმანია და იტალია სრულიად განთავისუფლდებიან რუსული გაზისაგან (ასევე ნავთობისგან). რუსულ ენერგორესურსებზე უარი თქვეს პოლონეთმა, ხორვატიამ, შვედეთმა, სლოვაკეთმა და ბალტიის ქვეყნებმა, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ გადადგმული გაბედული ნაბიჯია. რაც მთავარია, გაუქმდა გაზსადენი ,,ჩრდილოეთ ნაკადი 2“. ამ მხრივ, მსოფლიო შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: ენერგორესურსების მომხმარებლებად და მომპოვებლებად. არიან ქვეყნები, რომლებიც მომპოვებლებიც არიან და მომხმარებლებიც, მაგრამ მოპოვებული ენერგეტიკული რესურსები მათთვის საკმარისი არ არის, ამიტომაც ისინი მათ შეძენას სხვა ქვეყანაში ცდილობენ, მაგალითად, ამას აკეთებს ამერიკის შეერთებული შტატები. მიუხედავად იმისა, რომ დასავლური ქვეყნების ნაწილმა გაანახევრა რუსული გაზის იმპორტი საკუთარ ქვეყანაში, რუსეთი ჯერ კიდევ არის ევროპის ერთ-ერთი მომმარაგებელი. რუსულ გაზზე დამოკიდებულნი არიან გერმანია, ავსტრია, ნიდერლანდები და ა.შ. აღარაფერს ვამბობ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა (უნგრეთი, ბულგარეთი) და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებზე.

ცნობისთვის: რუსეთის ენერგეტიკულ სტრატეგიაში საკმაოდ მკაფიოდ არის დაფიქსირებული, რომ ენერგორესურსების ექსპორტი დარჩება არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ მსოფლიო საზოგადოებაში რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის განმსაზღვრელ საკვანძო ფაქტორად, ამიტომ რუსეთი სხვადასხვა მეთოდით ცდილობდა, ევროპა ჯერ მის იაფ ნავთობზე დამოკიდებული გაეხადა, შემდეგ კი მის წინააღმდეგ შანტაჟის პოლიტიკა ეწარმოებინა. „უკრაინა-რუსეთის ომამდე ზოგიერთი ევროპული სახელმწიფო რუსულ ბუნებრივ აირზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული გახდა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპის უზრუნველსაყოფად რუსეთმა არაერთი გაზსადენი („ჩრდილოეთ ნაკადი“, „სამხრეთ ნაკადი“....) შექმნა, თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთმა აგრესია განახორციელა უკრაინის მიმართ, ზემოაღნიშნული გაზსადენები გაუქმდა, რამაც რუსეთი მილიარდობით დოლარით აზარალა.

ევროპა, როგორც აღვნიშნეთ, ცდილობს ალტერნატიული ენერგორესურსების მოძიებას და ამ მხრივ გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, მოიხაზა რამდენიმე პერსპექტიული მიმართულება: 1. აზერბაიჯანიდან, ირანიდან და შუა აზიიდან, თურქეთის გავლით, ალტერნატიული გაზმომარაგების დერეფნის ფორმირება. 2. ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებიდან გათხევადებული ბუნებრივი აირის იმპორტირება. 3. ევროპაში არსებული ბუნებრივი აირის მოპოვების გაზრდა. 4. ჩრდილოეთის ზღვაში, ბრიტანეთის ტერიტორიულ წყლებში, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების გაორმაგება, რომელიც 1 ტრილიონი დოლარის ინვესტიციას მოითხოვს. 5. აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში, განსაკუთრებით კვიპროსის ტერიტორიულ წყალებში, ბუნებრივი აირის და ნავთობის მარაგების აღმოჩენა. 6. ევროპაში დიდი ტევადობის ბუნებრივი აირის საცავების მშენებლობა. 7. ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან იმპორტის გაზრდა და ა. შ. გარდა ამისა, ყირიმის ანექსიის შემდეგ დასავლეთმა, აშშ-ის ლიდერობით, რამდენიმე სტრატეგიული ამოცანა გადაჭრა. პირველი: ნავთობისგან მიღებულ დოლარებზე დაფუძნებული რუსული ეკონომიკა და ფინანსური სფერო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა (აღსანიშნავია, რომ რუსეთის ექსპორტის 68, ხოლო ფედერალური ბიუჯეტის 50 პროცენტი ენერგორესურსების ექსპორტირებაზე მოდის). მეორე: რუსეთს, ფაქტობრივად, მოესპო კოლოსალური თანხების ხარჯვის შესაძლებლობა როგორც გლობალურ, ისე სამეზობლო სივრცეში აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისთვის. აღარაფერს ვამბობ ამჟამინდელ ეკონომიკურ სანქციებზე, რომელიც რუსეთს დაუწესდა. ეს ქვეყანა სრულ იზოლაციაში მოექცა... დაწესებული ეკონომიკური სანქციები უპრეცედენტოა, რაც რუსეთის ეკონომიკას აფერხებს. ასე რომ, დასავლეთი თანმიმდევრულად ცდილობს რუსეთის ამბიციების მოთოკვას და მის მიმართ ნაცად სტრატეგიას მიმართავს, რათა მოსკოვი საერთაშორისო სამართლის ნორმებს დაემორჩილოს, თუმცა, ჯერჯერობით, კრემლი მაინც იგნორირებას უკეთებს დასავლეთის მოთხოვნებს და პოსტსაბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპაში აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს, უკრაინა ამის თვალსაჩინო მაგალითია.

> *„დაწესებული ეკონომიკური სანქციები უპრეცედენტოა, რაც რუსეთის ეკონომიკას აფერხებს. ასე რომ, დასავლეთი თანმიმდევრულად ცდილობს რუსეთის ამბიციების მოთოკვას და მის მიმართ ნაცად სტრატეგიას მიმართავს, რათა მოსკოვი საერთაშორისო სამართლის ნორმებს დაემორჩილოს, თუმცა, ჯერჯერობით, კრემლი მაინც იგნორირებას უკეთებს დასავლეთის მოთხოვნებს და პოსტსაბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპაში აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს, უკრაინა ამის თვალსაჩინო მაგალითია.*

სამწუხაროდ, დასავლეთი სრულად ჯერჯერობით ვერ ამბობს უარს რუსულ გაზსა და ნავთობზე, რაც ევროპის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების მაჩვენებელია. აშშ-ის წინააღმდეგობის მიზეზს რაც შეეხება: ამერიკას არ სურს, რომ ევროპა ენერგოდამოკიდებული იყოს რუსეთზე, ანუ მისი მიზანია ევროკავშირის ქვეყნებმა რუსეთის ინტერესები არ გაატარონ რეგიონში, მით უფრო, რომ რუსეთის ენერგეტიკულ სტრატეგიაში მკაფიოდაა გაცხადებული კრემლის მიზნები, კერძოდ, გეოსტრატაგიული და გეოეკონომიკური შესაძლებლობების განმტკიცება დასავლეთში, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთის შეშფოთების საფუძველია. ამ მიმართებით დასავლეთი გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, მაგალითად, ვენესუელამ, აზერბაიჯანმა, ყაზახეთმა მზადყოფნა გამოთქვეს, ევროპა გაზით და ნავთობით მოამარაგონ, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ მხრივ, ნავთობი და გაზი გადანაწილებულია აზიის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. გარდა ამისა, ნავთობით გამოირჩევა ამერიკის სამხრეთ ნაწილი, ევროპის ტერიტორიაზე ნორვეგიაა ენერგორესურსებით მდიდარი. გაზის დიდი მარაგია აზერბაიჯანში და ა. შ. სხვათა შორის, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თავის მოგონებებში, „ჩემი არჩევანი“ წერდა, რომ როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გაიგო, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენი შენდებოდა, განაცხადა, რომ ეს ნავთობსადენი საქართველოს ტერიტორიაზე არ გაივლიდა. დღეს ზემოაღნიშნული ნავთობსადენი საქართველოზე გადის და ამან გარკვეულწილად დაგვიცვა. ვერ ვიტყვი, რომ სრულად დაგვიცვა რუსეთისგან, თუმცა ჩვენი ქვეყანა რომ აშშ-ის ინტერესების არეალშია, სწორედ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის დამსახურებაა. ამ მხრივ სამხრეთ კავკასია ნავთობის ერთი დიდი რეზერვუარია, განსაკუთრებით ბევრია იგი ჩეჩნეთსა და აზერბაიჯანში, სწორედ კავკასიაში იკვეთება ნატოს და რუსეთის ინტერესები და ეს დამაპირისპირებელი ინტერესი მძაფრ ხასიათს იძენს“.

უდავოა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგი არა მარტო პოსტსაბჭოთა ქვეყნების, არამედ ევროპის მომავალს გადაწყვეტს, ამიტომ ექსპერტები უფრო ფართომასშტაბიან დაპირისპირებას წინასწარმეტყველებენ რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით. ან დასავლეთი შეძლებს რუსეთის მორჯულებას, ანდა შეეგუებიან რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის აღდგენას, რაც არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დააზარალებს, არამედ დასავლეთსაც, რასაც აშშ და ევროკავშირი, როგორც ჩანს, აცნობიერებენ და ყოველმხრივ ეხმარებიან უკრაინას სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში, ამავე დროს რუსულ გაზსა და ნავთობზე დამოკიდებულებას ამცირებენ, რაც დასავლეთის გრძელვადიანი სტრატეგიაა.

დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელს მოუსმინეს

პარლამენტის ნდობის ჯგუფის სხდომაზე დაზვერვის სამსახურის უფროსმა შალვა ლომიძემ რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე და რუსეთის მიერ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების უსაფრთხოების გარემოზე ზეგავლენის შესახებ ისაუბრა. შეხვედრა დახურულ ფორმატში წარიმართა, რომლის დასრულების შემდეგ, ნდობის ჯგუფის ხელმძღვანელმა ირაკლი ბერაიამ შეხვედრაზე განხილული საკითხები შეაფასა.

„შეხვედრაზე საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსმა რეგიონული უსაფრთხოების გარემოს შესახებ ინფორმაცია წარადგინა. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ტენდენციების შესახებ და რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ ომზე, რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოებაზე მისი გავლენის შესახებ და მოვლენების შესაძლო განვითარების სცენარებზე და ძირითად ტენდენციებზე ვისაუბრეთ. შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა და ნდობის ჯგუფის წევრებმა ჩვენს კითხვებზე ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ნდობის ჯგუფს დაზვერვის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობა აქვს, რასაც მოწმობს ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წელს, უკვე რიგით მეორე მოსმენა გაიმართა“, - აღნიშნა ირაკლი ბერაიამ.

უცხოეთი

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტი, რომლითაც უკრაინისთვის 40 მილიარდი დოლარის დახმარებაა გათვალისწინებული, კენტუკის შტატის სენატორმა რედ პოლმა დაბლოკა. როგორც მან განაცხადა, კანონმდებლობაში ცვლილებებია საჭირო, რათა შეიქმნას სპეციალური გენერალური ინსპექტორის სამსახური უკრაინის სამხედრო დახმარების ხარჯვის გასაკონტროლებლად. აღნიშნულის შესახებ „სი-ენ-ენი“ წერს და განმარტავს, რომ საჭირო გახდება პროცედურული ნაბიჯები რენდ პოლის წინააღმდეგობის დასაძლევად, რასაც შესაძლოა, რამდენიმე დღე დასჭირდეს, მაგრამ კანონპროექტის მიღებას ხელს ვერ შეუშლის.

* * *

რუსეთის პრეზიდენტი უკრაინაში უნდა დამარცხდეს, რათა

მისი შემდგომი აგრესია თავიდან ავიცილოთ, - ამის შესახებ გერმანიაში, „დიდი შვიდეულის“ ფორმატში, საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტზე აღინიშნა. ინფორმაცია „ბი-ბი-სიმ“ გაავრცელა. როგორც გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მდივანმა ლიზ ტრასმა განაცხადა, „რუსეთს სანქციები მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მოეხსნას, რაც მთელი მისი ჯარი უკრაინას დატოვებს“. ტრასის თქმითვე, პუტინი მთელი მსოფლიოს მასშტაბით იმცირებს თავს.

* * *

„თუ პორტები არ გაიხსნება, უკრაინის ეკონომიკა მთლიანად ჩამოიშლება“, - ამის შესახებ გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის ხელმძღვანელმა დევიდ ბიზლიმ განაცხადა. მან რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს აღნიშნული ნაბიჯის გადაგდგმისკენ მოუწოდა. „მიუხედავად იმისა, რას გრძნობთ უკრაინის მიმართ, უნდა გახსნათ პორტები“, - აღნიშნა მან და დასძინა, რომ ეს უნდა გაკეთდეს მომდევნო 60 დღის განმავლობაში, სანამ გლობალური კატასტროფა მოხდება. ცნობისათვის, სოფლის მეურნეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ტვირთები უკრაინაშია ჩარჩენილი, რადგან რუსეთმა ოდესის პორტი და მეზობელი პორტები დაბლოკა.

* * *

„აზოვსტალიდან“ სამხედროების ევაკუაციის შესახებ მოლაპარაკებები თურქეთის უშუალო ჩართულობით მიმდინარეობს“, - განაცხადა უკრაინის ვიცე-პრემიერმა ირინა ვერეშჩუკმა. მისივე თქმით, ევაკუაციის გეგმის შემუშავებაში, ასევე, ჩართულია გაერო და წითელი ჯვარი. როგორც ცნობილია, თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს წერილით მიმართეს „აზოვის“ პოლკის მებრძოლთა ოჯახებმა. მათ 1.5 მილიონი ხელმოწერა შეაგროვეს ყველა მებრძოლის ქარხნიდან გამოყვანის მოთხოვნით და ერდოღანს მოუწოდეს, განახორციელოს მათი ევაკუაციის პროცედურის ინიცირება. „ჩვენ გვინდა დოკუმენტის გაფორმება, თუ როგორ მოხდება „აზოვსტალიდან“ ევაკუაცია და ვემზადებით ხელმოსაწერად“, - განაცხადა ირინა ვერეშჩუკმა.

მოამზადა
ია შველიძემ

„ჩვენი უმთავრესი ამოცანაა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ხარისხიანი სამედიცინო სერვისების მიწოდება“

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ამ დღეებში პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში მოუსმინეს

პლენარულ სხდომაზე ზურაბ აზარაშვილმა უწყების ძირითად მიმართულებებზე, საქმიანობის სპეციფიკაზე, გატარებულ ღონისძიებებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. აღნიშნულის შესახებ საუბარია პარლამენტის ოფიციალურ გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ჩვენი უმთავრესი ამოცანაა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებებზე ზრუნვა და მათთვის ხარისხიანი სამედიცინო სერვისების მიწოდება“, - განაცხადა აზარაშვილმა. მინისტრმა თურქეთის ფარმაცევტული ბაზრის გახსნა მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით ერთ-ერთ წარმატებულ ნაბიჯად შეაფასა.

„მიმდინარე წლის დასაწყისში, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ჩვენ დავაანონსეთ მნიშვნელოვანი რეფორმა ფარმაციის ბაზრის გამჭვირვალობის მიმართულებით, რაც გულისხმობდა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, მათზე მოსახლეობის ჯიბიდან დანახარჯების შემცირებას, ასევე წამლის ხარისხის კონტროლის გაძლიერებას და მათი რაციონალური მოხმარების ხელშეწყობას. მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით ჩვენი ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯია თურქული ბაზრის გახსნა და მეზობელი ქვეყნიდან იმ მედიკამენტების იმპორტი, რომელზეც მოსახლეობის დანახარჯები მნიშვნელოვნად მაღალი იყო. რეფორმის შედეგად ჩვენ უკვე ვხედავთ ხელშესახებ ცვლილებებს, რაც გამოიხატა ფასების 80%-მდე შემცირებაში. ეს კი ჩვენი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი შეღავათია“, - აღნიშნა ზურაბ აზარაშვილმა.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტების ხარისხზე და აღნიშნა, რომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დაწყებულია მუშაობა მედიკამენტების რეფერენტული ფასების დადგენისთვის. მისივე თქმით, თურქეთის ბაზრის გახსნის გარდა, წამლებზე ჯიბიდან დანახარჯების შემცირებისთვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ყველაზე ხშირად მოხმარებადი მედიკამენტების დაფინანსება. მისივე თქმით, საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებისთვის იგეგმება ქრონიკული დაავადებების მედიკამენტების პროგრამის კიდევ მეტად გაფართოება.

მიმდინარე ფარმაცევტულ რეფორმაზე საუბრისას მინისტრმა აღნიშნა, რომ ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტის შეცვლა მარკეტინგული ბენეფიტებისა და სხვა მიზნებისთვის და არა პაციენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე შესაცვლელი პრაქტიკაა. მისივე თქმით, აღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ, მიმდინარე წლის აპრილიდან მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი მხოლოდ ელექტრონული რეცეპტით ან აფთიაქიდან ელექტრონული რეცეპტის საფუძველზე გაიცემა. ასევე, შეიცვალა დანიშნულების გაცემის მექანიზმიც.

მინისტრის თქმით, სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების საგენტო აქტიურ რეჟიმში ახორციელებს ელექტრონული რეცეპტების გამოწერისა და აფთიაქებიდან მედიკამენტების რეცეპტის საფუძველზე რეალიზაციის კონტროლს. უახლოეს დღეებში დასრულდება რეგულირების საგენტოში წამლის დეპარტამენტის ფორმირების პროცესი, რაც კიდევ მეტ შესაძლებლობას შექმნის ქვეყანაში წამლის რეგულირების ჩარჩოს გაძლიერებისთვის.

ზურაბ აზარაშვილმა საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტების ხარისხის უზრუნველყოფა სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად დაასახელა. მისი განცხადებით, სწორედ ამ პრიორიტეტიდან გამომდინარე, 2022 წლის ბოლომდე ყველა ადგილობრივ მწარმოებელს კარგი საწარმოო პრაქტიკის - GMP სტანდარტზე გადასვლა დაევალა. აღნიშნა, რომ ადგილობრივ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს შორის თანაბრად კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით, 2022 წლის ივნისიდან GMP სტანდარტის დაკმაყოფილების ვალდებულება განისაზღვრა ქვეყანაში იმპორტირებულ მედიკამენტებზეც.

ჯანდაცვის უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, ქვეყანაში მიმოქცევაში არსებული მედიკამენტების ხარისხის დამატებითი რეგულირების მექანიზმების უზრუნველყოფისთვის, აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს წამლის ხარისხის ლაბორატორიის მოწყობა, რომლის აღჭურვილობის შესყიდვა დასრულებულია და 2022 წლის ბოლოს ქვეყანას ექნება გამართული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ეროვნული ლაბორატორია, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდება მიმოქცევაში არსებული ფარმაცევტული პროდუქტების ხარისხის შემოწმება.

ზურაბ აზარაშვილის თქმით, გავრცელებული ქრონიკული დაავადებების მართვის გაუმჯობესებისთვის, რეფორმის ფარგლებში, მოხდება დიფერენცირებული, გაზრდილი კაპიტაციური დაფინანსების ამოქმედება, ტელემედიცინის შესაძლებლობების ფართოდ გამოყენება და დაფინანსების მექანიზმების იმგვარი მოდიფიცირება, რომ გარანტირებული იყოს პაციენტისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა.

„წელს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში, სოფლის ექიმის პროგრამის მართვა გადავიდა სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგის პასუხისმგებლობაში და ამავდროულად გაიზარდა სოფლის ექიმების შრომის ანაზღაურება. სამედიცინო ჰოლდინგი აქტიურად განაგრძობს მუშაობას სოფლის ექიმების სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ დრომდე მოხდა 200-მდე სოფლის ამბულატორიისთვის განახლებული სამედიცინო აღჭურვილობის მიწოდება“, - განაცხადა მინისტრმა. აზარაშვილის თქმით, დღეის მდგომარეობით, წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოცულია მოსახლეობის 94,7%. ამასთან, მიმდინარე რეფორმების მხარდასაჭერად, თითქმის ხუთჯერ გაიზარდა ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები.

ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ 2022 წლის დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით გაიზარდა, რამაც უწყებას, დიაბეტის დიაგნოზის მქონე 18 წლამდე ასაკის პირებისთვის სისხლში გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემების დაფინანსების შესაძლებლობა მისცა. ზურაბ აზარაშვილის თქმით, გაიზრდება დიაბეტის მართვის სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობაც. მინისტრმა მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სპეციალისტებთან იმისთვის, რომ შეიქმნას ინსულტის და ტრავმის შემდგომი რეაბილიტაციის პაკეტი, რასაც სახელმწიფო დააფინანსებს. გარდა ამისა, პრიორიტეტულია კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის დაფინანსება. მისივე თქმით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში პაციენტის საჭიროებებზე სწრაფი რეაგირებისთვის, მაქსიმალურად შემცირდება მოლოდინის პერიოდი, რაც ამ ეტაპზე 2 თვეს შეადგენს. ზურაბ აზარაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მოქალაქეებს არ მოუწევთ ლოდინი კუთვნილი სამედიცინო სერვისების მისაღებად.

ჯანდაცვის მინისტრმა, საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ მკურნალობის საკითხებზე საუბრისას აღნიშნა, რომ სამინისტრომ გააფართოვა თანამშრომლობა კლინიკებთან თურქეთში, გერმანიასა და ისრაელში. ყურადღება გაამახვილა კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. მისი თქმით, ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადაიდგა, რაც შედეგებზეც მნიშვნელოვნად არის ასახული. „პანდემიის დაწყებიდან, 1 მილიარდ ლარზე მეტია მობილიზებული სახელმწიფოს მიერ, რომ პაციენტებს ხარისხიანი სერვისი მიეღოთ. ამ თანხის ნაწილი მკურნალობაში ჩართული სამედიცინო პერსონალისთვის 50%-იანი დანამატის გასაცემად იყო მიმართული. პანდემიის სტაბილიზაციის პირობებში, 1 მარტიდან, შესაძლებელი გახდა კლინიკების ეტაპობრივი გამოთიშვა კოვიდის მართვის პროგრამიდან. ამყამად, კოვიდპაციენტების მიღებას საჭიროების შესაბამისად ახორციელებს 40-მდე კლინიკა 2000-მდე საწოლით. თუმცა, ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი, ამ ეტაპზე, მინიმალურია და დღეში 30 შემთხვევას შეადგენს“, - განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

მინისტრმა მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების, დასაქმების, მიგრაციის, სოციალური დაცვის, შშმ პირებისა და ბავშვზე ზრუნვის მიმართულებით სამინისტროს მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს, ასევე, დევნილთა განსახლების და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესს და აღნიშნა, რომ იძულებით გადაადგილებული ოჯახების განსახლება და მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სამინისტროსთვის პრიორიტეტული მიმართულებაა.

მოამზადა
ია შველიძემ

13-დან ერთ-ერთი, იდეალური არა მხოლოდ მხედველობისთვის

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ნერვებს, თვალებს, ძვალ-სახსროვან სისტემას, შინაგან ორგანოებს, სისხლს და სხვა მრავალს ჩვენს ორგანიზმში ფუნქციონირებისთვის ვიტამინები სჭირდება, რომლებიც აქტიურად წარმართავენ ორგანიზმის ცხოველმოქმედების დროს მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებს.

ამჟამად 13 ვიტამინია ცნობილი, ყოველი მათგანი აუცილებელია ორგანიზმის ბალანსირებული მოქმედებისთვის. დღეს ყურადღება ერთ-ერთ მათგანზე - A ვიტამინზე გავამახვილოთ, შემდეგში კი დანარჩენ ვიტამინებზეც შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

A ვიტამინი არის ცხიმში ხსნადი, აითვისება მხოლოდ ცხიმთან ერთად. მას ორგანიზმი ღვიძლში, ცხიმოვან ქსოვილში ინახავს და საჭიროების მიხედვით მოიხმარს. A ვიტამინი, იგივე რეტინოლი ნივთიერებათა ჯგუფია, რომელიც მოიცავს ცხიმში ხსნად კომპონენტებს - რეტინოლს, რეტინალს და რეტინილ, ეთერს. A ვიტამინს ორგანიზმი იღებს ცხოველური წარმოშობის საკვებიდან ან თვითონვე წარმოქმნის ბეტა კაროტინისგან (მცენარეულ საკვებში შედის). რეტინოლი და რეტინილ ეთერი ცხოველურ საკვებში გვხვდება (ხბოს ხორცი, საქონლის და ქათმის ღვიძლი, ორაგული, სკუმბრია, თინუსი...), ასევე კვერცხის გულსა და რძის ნაწარმში. A პროვიტამინებს, იმავე კაროტინოიდებს კი ხილი, ბოსტნეული და ზეთი შეიცავს.

ორგანიზმმა A ვიტამინი რომ გამოიყენოს, რეტინოლი და რეტინილ ეთერი რეტინალად და რეტინის მჟავად უნდა გარდაიქმნას.

საკვებიდან მიღებული A ვიტამინის უმეტესობა ღვიძლში რეტინილ ეთერის სახით ინახება. იგი ტრანსრეტინოლად იშლება, რეტინოლშემაკავშირებელ ცილას უკავშირდება და სისხლში აღწევს, ამის შემდეგ კი ორგანიზმი მოიხმარს. რეტინოლი ხელს უწყობს რეპროდუქციას, რეტინალი უზრუნველყოფს მხედველობის ფუნქციას, რეტინის მჟავა არეგულირებს უჯრედების დიფერენციაციას, ზრდას, ემბრიონის განვითარებას.

ბეტა კაროტინი გვხვდება ყვითელ და მწვანე პროდუქტში, ხილსა და ბოსტნეულში, აქვს ანტიოქსიდანტური თვისება, ორგანიზმს მისი A ვიტამინად გარდაქმნა შეუძლია. ადამიანს ყოველდღიურად 6-15 მგ ბეტა კაროტინი სჭირდება, რაც 10 000-25000 სე A ვიტამინს შეესაბამება.

განსაკუთრებით დიდია A ვიტამინის მნიშვნელობა მხედველობისთვის. რეტინალი უკავშირდება ცილა ოფსინს, წარმოქმნის მხედველობის პიგმენტ როდოფსინს, რომელიც გვეხმარება ფერების გარჩევაში, სინათლისა და სიბნელის აღქმაში, სიბნელეში საგნების გარჩევაში... იცავს ასევე თვალის რქოვანას და კონიუნქტივას. A ვიტამინი საუკეთესოა ქათმის სიბრმავის პრევენციისთვის. სისხლში ბეტა კაროტინის (სხვა კომპონენტებთან ერთად) მაღალი შემცველობა 25%-ით ამცირებს ასაკთან დაკავშირებულ მაკულას დეგენერაციის რისკს.

A ვიტამინი დადებითად მოქმედებს კანზე, ლორწოვან გარსზე, უზრუნველყოფს (კანის, ნაწლავების, ფილტვების, შარდის ბუშტის, შუა ყურის) გამართულ მუშაობას. იცავს დნმ-ის მოლეკულებს დაზიანებისგან და ხელს უწყობს დაზიანებულების აღდგენას. მონაწილეობს ახალი ერითროციტების ფორმირებაში. A ვიტამინი ხელს უწყობს იმუნური სისტემის სრულფასოვან მუშაობას, ასევე ქალისა და მამაკაცის რეპროდუქციული სისტემის სრულყოფილ ფუნქციონირებას, ნაყოფის განვითარებას. A ვიტამინი გავლენას ახდენს მეტაბოლურ პროცესებზე, ცილებისა და ცხიმების ცვლაზე.

A ვიტამინი მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის ძვლის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ზრდაში, მოტეხილი ძვლების აღდგენაში.

ორგანიზმისთვის ასევე აუცილებელია A ვიტამინის წინამორბედი ბეტა კაროტინი, ალფა კაროტინი და კრიპტოქსანი თავიანთი ანტიოქსიდანტური თვისებებით. ისინი ებრძვიან ოქსიდაციურ სტრესს, რომელიც ხელს უწყობს შაქრიან დიაბეტს, გულის დაავადებებს, შემეცნების უნარის დაქვეითებას და ა. შ.

თუ კანის, თმის, ფრჩხილების, თვალების სიმშრალეს უჩივით, მომატებული გაქვთ მგრძნობელობა ინფექციური დაავადებების მიმართ, დაგისუსტდათ მხედველობა, ძნელად გიხორცდებათ ჭრილობა, გაწუხებთ აკნე, ჰიპერკერატოზი, დაგიქვეითდათ ყნოსვა, გემოს შეგრძნება, მადა, უნდა იეჭვოთ A ვიტამინის დეფიციტზე. ასევე, A ვიტამინოზმა შესაძლოა გამოიწვიოს ღამის სიბრმავე, უნაყოფობა, ზრდის შეფერხება...

A ვიტამინის დეფიციტი უმეტესად გვხვდება ასაკოვნებში, ახალგაზრდა ქალებში, ინფექციის მიმართ მგრძნობიარე ბავშვებში, დღენაკლულებში.

A ვიტამინის სიჭარბემ შესაძლოა გამოიწვიოს თავის ტკივილი, თავბრუხვევა, გულისრევა, ღებინება, მადის დაქვეითება. თუ ეს რამდენიმე დღე გაგრძელდა, თმის ცვენაც დაიწყება. ასევე, გართულდება მხედველდობის დარღვევით, სახსრებისა და ძვლების ტკივილით, სინათლის მგრძნობელობის მომატებით, ჰეპატოსპლენომეგალიით, კანის ქავილით, სიყვითლით (როცა ადამიანი დიდი ხნის მანძილზე იღებს A ვიტამინის ჭარბ დოზას, ამ ვიტამინით მდიდარ დიდი რაოდენობით ცხოველურ საკვებს და არა - მცენარეულს).

A ვიტამინის შეწოვა ქვეითდება, თუ ორგანიზმი ცხიმს სათანადოდ ვერ ითვისებს (ცელიაკია, სიყვითლე, მუკოვისციდოზი, ციროზი, პანკრეატიტი), ამ დროს უმჯობესია A ვიტამინის წყალში ხსნადი ფორმა მიიღოთ.

A ვიტამინის ათვისებას ხულს უშლის მალაბსორბცია, ღვიძლის დაავადებები, კიბო, ართრიტი, შიდსი, სტრესი, ანთებები, ქირურგიული ჩარევა, ჭარბი ალკოჰოლი, ჭარბი ინსოლაცია (მზის აბაზანები).

A ვიტამინის ათვისებას ხელს უშლის რკინის დეფიციტი, უცხიმო საკვები, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, თუთიის დეფიციტი...

A ვიტამინის დღიური ნორმა 20-65 წლის მამაკაცისთვის 900 მკგ-ია, ქალებისთვის (არა - მეძუძური და ორსული) - 700 მკგ.

A ვიტამინის შემცველი საკვები უმჯობესია ბნელ ადგილას შეინახოთ. თერმული დამუშავებისას მისი 10-30% იკარგება. თერმული დამუშავების პროცესში ბეტა კაროტინი (სტაფილო) და ლიკოპენი (პომიდორი) კიდევ უფრო უკეთ ამყღვნებს ანტიოქსიდანტურ თვისებებს.

„თაობებს წარსულს წიგნით შემოვუნახავ“...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

70 წლის ისტორია აქვს შუახევის რაიონს. წუთისოფელს აისის ვარსკვლავებივით შემორჩნენ ის პიროვნებები, რომელთა ცხოვრება, შრომა, საზოგადოებრივი საქმიანობა რაიონის განვითარებას სისხლხორცეულად უკავშირდება. მათ შორისაა 85 წელს მიტანებული ყოფილი ჟურნალისტი, კულტურის მუშაკი, სამეურნეო და პარტიული სტრუქტურის ხელმძღვანელი, პუბლიცისტური სტატიების და სამი წიგნის ავტორი მიხეილ ზოსიძე. იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია

- ბაბუა სულეიმანი როტშილდის ქარხნის მუშა იყო. მან მეორე მსოფლიო ომში ორი ვაჟი დაკარგა. საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა, ადამიანებთან ურთიერთობის პირადი ხელწერით გამოირჩეოდა. ავტორიტეტული პიროვნება იყო მამა ნუსრედინ ზოსიძე. 14 წლის ყმაწვილს დამამახსოვრდა 1952 წლის დეკემბრის სუსხიანი საღამო. სახლში მოსულმა ყველას გვახარა: დღეს შუახევის რაიონი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოცხადდაო. დამფუძნებელ ღონისძიებას თავადაც ესწრებოდა. შუახევის ცენტრთან სიახლოვე, მოსწავლეობის, სტუდენტობის ხანა საშუალებას მაძლევდა, საკუთარი თვალით მენახა აღმშენებლობითი პროცესები. ნათესაური, მეგობრული და მეზობლური ურთიერთობები მქონდა იმ ადამიანებთან, რომლებიც ამ პროცესებში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი. გამონაკლისი არც ჩემი მშობლიური სოფელ ჯაბნიძეების მკვიდრები იყვნენ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ცნობილი მეცნიერების: იური სიხარულიძის, შოთა (შუქრი) ნიჟარაძის, ალექსანდრე ჩავლეიშვილის, ზურაბ თანდილავას ხელმძღვანელობით, აჭარის მთიანეთში გაბნეულ ხალხურ მარგალიტებს ვაგროვებდი. ფეხით შემოვიარეთ ხულოს, შუახევის, ქედის რაიონების ისტორიული ადგილები, კულტურული ძეგლები. ადამიანებთან ურთიერთობები მაშინ უფრო საინტერესო და შინაარსიანი იყო. როცა ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ გაუქმებულმა შუახევის რაიონმა ადრინდელი სტატუსი აღიდგინა, სოფლის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი რაიონული გაზეთ „დროშის“ რედაქტორის მოადგილედ დამაწინაურეს.

- თითქმის 15 წელი ადგილობრივ გაზეთში გაატარეთ, ჯერ რედაქტორის მოადგილის, შემდეგ - რედაქტორის თანამდებობაზე. რას გაიხსენებდით?

- ჩემი ცხოვრების, შრომის, შემოქმედებითი საქმიანობის, მოზღვავებული ენერგიის წლები გაზეთს, მის შემოქმედებით კოლექტივს უკავშირდება. ჩემ თვალწინ დაფრთიანდნენ შემდგომში ცნობილი მეცნიერები დავით გვიანიძე, ტარიელ ფუტკარაძე, გივი ცეცხლაძე, ცნობილი ჟურნალისტები გივი თურმანიძე, ნოდარ ქამადაძე, მიხეილ დავითაძე, ოთარ ცინარიძე, წუთისოფლიდან ნაადრევად წასული ნაზი კახიძე. კოლეგიალური ურთიერთობის, ხალხთან დაახლოების, სულიერებასთან ჭიდილის, ადამიანებთან ურთიერთობის სკოლა იყო სერგო კაკაურიძესთან მუშაობა. ადამიანი, რომელიც ცხოვრებასაც აკეთილშობილებდა და სამსახურსაც.

- კულტურის სისტემაში საქმიანობიდან მნიშვნელოვანს რას გამოარჩევდით?

- გასახსენებელი ბევრია. ამ სფეროში ჩემი საქმიანობა, ერთი შეხედვით, არცთუ ისე გამართლებულად მიმაჩნდა. თავად განსაჯეთ, ცეკვისა და სიმღერის რა მოგახსენოთ, არც ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ვიყავი დიდად ერუდირებული და გათვითცნობიერებული. ამის მიუხედავად, რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელი მიხეილ ხოზრევანიძე მენდო. დაუვიწყარია კულტურის მუშაკებან პირველი შეხვედრა, რაც იმედის მომცემი იყო. თითოეულ მათგანში დავინახე პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, ერთგულება და ენთუზიაზმი - ემსახურონ დიდ და კეთილშობილურ საქმეს. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა კულტურის დაწესებულებათა მატერიალური ბაზა, წიგნადი ფონდი ვერ პასუხობდა დროის მოთხოვნებს. კულტურის სახლებში, კლუბებში იშვიათობა იყო მუსიკალური ინვენტარი. ამ პრობლემების დასაძლევად ბევრი გააკეთეს წინამორბედმა ხელმძღვანელებმა - ათამდე წიგნის ავტორმა ვახტანგ ზოიძემ, კულტურის ქომაგმა კონსტანტინე ბერიძემ. არ შეიძლება დავივიწყოთ ამ სფეროში მომუშავე ხელმძღვანელები: ალექსანდრე ფუტკარაძე, ნოე დუმბაძე, სულიკო ფუტკარაძე, იური ტაკიძე, ვასო ხიმშიაშვილი, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს კულტურის აღორძინების საქმეში. სწორედ ამ ადამიანების თავდაუზოგავი შრომით წარმოჩნდა ქართული ქორეოგრაფიის, სასიმღერო კულტურის ძირძველი ნიმუშები, რომლებიც აჭარისთვის და, საერთოდ, ქართული კულტურისთვის იყო დამახასიათებელი. აჭარა ოდითგანვე იყო ცნობილი ძველი ქართული ხალხური ცეკვებით, ფოლკლორითა და სასიმღერო ხელოვნებით. მეამაყება, რომ იმ ადამიანებთან მიხდებოდა მუშაობა, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ძირძველი ხალხური ნიმუშების აღდგენა-პოპულარიზაციაში. მნახველის მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება ქართული ცეკვის დიდოსტატის ალიოსმან დავითაძის „განდაგანას“ ილეთები. ცეკვის ჯადოქარს უწოდებდნენ ხაბელაშვილებელ მუხამედ ართმელაძეს, რომელმაც „განდაგანას“ ძირძველი ილეთები გამოიტანა სცენაზე. ქართული ქორეოგრაფიული სამყარო იცნობს ნენიელ ახმედ მიქელაძეს, რომელიც თავისი გარმონით ეშხსა და ლაზათს მატებდა თითოეულ მოცეკვავეს. მსურს გავიხსენო ძველი ქართული ცეკვების უბადლო შემსრულებლები მამია ჭაღალიძე, შაქრო ფუტკარაძე, ზაბით ჭაღალიძე, ალექსანდრე სურმანიძე, ხასან შარაშიძე და სხვები. სცენაზე დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს წაბლანის მოცეკვავეთა ჯგუფის წევრებმა „შუამთურის“ სახით. დავიწყებას არ მიეცემა დარჩიძეებელი ბინალ ფუტკარაძე. ის მართლაც პოეტური და ვოკალური ნიჭით აღსავსე ადამიანი იყო, რომელიც თავისი პატრიოტული ლექსებით, მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით, აჯადოებდა მაყურებელს. ძველი ქართული ხალხური სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაციაში თავიანთი წვლილი შეიტანეს აბესალომ ფუტკარაძემ, ოთარ გოგიტიძემ, ლევან დარჩიძემ, ტარიელ მაკარაძემ, ლენა ნიჟარაძემ...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შუახევის რაიონის კულტურის სახლის მაორგანიზებელი და მაკონტროლებელი როლი. წიგნის პროპაგანდის საქმეს ყოველთვის უნარიანად ხელმძღანელობდა მერი თურმანიძე. რაიონის მუსიკალური კულტურის ამაღლებაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა და შეაქვს შუახევის სახელოვნებო სკოლას. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო უდროოდ წასული შოთა ღოღობერიძე. ამ მართლაც უმწიკვლო, ფუტკარივით მშრომელმა ახალგაზრდა სპეციალისტმა ახალგახსნილი სკოლა მალევე აქცია შუახევის მუსიკალური განათლების ცენტრად. ის კარგი ლოტბარიც იყო. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა არაერთ რესპუბლიკურ დათვალიერებასა და ოლიმპიადაზე დაიმსახურა საპატიო დიპლომები. ქორეოგრაფიული ანსამბლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღოდა ახალგაზრდა ქორეოგრაფ სიმონ ფუტკარაძეს. ბევრი რამ შეიძლება ითქვას და დაიწეროს უდროოდ წასულ ნოდარ ფევაძეზე. მან თვალსაჩინო კვალი დატოვა ქართულ სალოტბარო ხელოვნებაში.

- სკოლა, პრესა, კულტურის სისტემა აღმასრულებელი სტრუქტურის საპასუხისმგებლო თანამდებობით ჩაანაცვლეთ, რაც ადრინდელი წლების მსგავსად, შინაარსიანი იყო...

- ვინც თუნდაც რამდენიმე თვე ან წელი იმუშავა იოსებ ხიმშიაშვილის, ვლადიმერ მამულაძის, ალექსანდრე ჯიბლაძის, რუსუდან, ნუგზარ ფუტკარაძეების გვერდით, იმ დროს ხინჯს ვერ მოუძებნის. მოძველებული სკოლის შენობების ახლით ჩანაცვლება, სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მთავარი საზრუნავი იყო. მახსოვს, როგორი ენთუზიაზმით შენდებოდა უჩამბის, ოლადაურის, ბარათაულის, ჭვანის, დღვანის, დაბა შუახევის, ნიგაზეულის სკოლების, გოგაძეების, ზამლეთის, წყاროთის, შუბნის კლუბ-კანტორების, გომარდულის, ტბეთის, ფურტიოს ბაგა-ბაღების შენობები. იმ წლებში გაიყვანეს ხაბელაშვილების - თავზარას, ცინარეთი-რიკიხეთის, მაწყვალთის, ნაცარას, თეთრბაკის მთების საავტომობილო გზები. ჩვენ დავიწყეთ რიკიხეთის ტერიტორიაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა. სოფლებში საცხოვრებელი სახლების, დამხმარე ნაგებობების მშენებლობის ბუმი იყო. იყო სოფლები, სადაც ერთდროულად 10-15 სახლი ხარაჩოებს იხსნიდა. მოსახლეობის ცხოვრების დონე აამაღლა თამბაქოს კერძო სექტორში გაშენებამ და შესასყიდი ფასების მაქსიმალურმა მატებამ. ეკონომიკური აღმასვლა კულტურის, ხელოვნების განვითარებას, ახალი ღონისძიებების წამოწყებას ხელს აძლევდა. 1983 წელს დაფუძნდა სიმღერის დღესასწაული, რომელმაც შემდგომ პერიოდში „შუახევობის“ სახელი დაიმკვიდრა. ჩვენ გზა გავუხსენით ერთ დროს გაუქმებულ „შუამთობის“ სახალხო დღესასწაულს. მასობრივი ხასიათი მიიღო ღვაწლმოსილი ადამიანების იუბილეების გადახდამ. საყოველთაო სახე მიიღო სტუდენტურმა შეკრებამ დევიზით - „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“. გვქონდა პატივი, სოფელ ნაღვარევიდან ჭარბი შრომითი რესურსი - 30 ოჯახი მაშინდელი წითელწყაროს (დედოფლისწყარო) რაიონის სამთაწყაროს მეურნეობაში საცხოვრებლად გადაგვეყვანა, რაც მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1989, 1990, 1991 წლებში მარტო შუახევიდან ქვეყნის 35-ზე მეტ რაიონში და ქალაქში 2700-ზე მეტმა ოჯახმა ახალი საცხოვრისი გაიჩინა. ეს ერთობ რთული, მაგრამ ორგანიზებული პროცესი იყო.

- რაა მთავარი, ადამიანმა საზოგადოებაში საპატიო ადგილი რომ დაიმსახუროს?

- პირველ რიგში უანგარო, კეთილშობილური შრომა, რაც ჩემი თაობის მისია იყო. შვილების, შთამომავლების მსგავსად, ეროვნულ მოძრაობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას მაშინ ჩემი თაობაც გვერდით დაუდგა. მადლობის მეტი რა მეთქმის მშობლიური შუახევის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელობის მისამართით. მათ ჩემი მუშაობა „საპატიო შუახეველის“ წოდების მონიჭებით დააფასეს.

- პუბლიცისტურ-შემოქმედებით საქმიანობას ვერ ელევით. არა მარტო საქართველოს, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ადამიანების ამაგიც შემოუნახეთ საზოგადოებას წიგნების სახით. ახლა რა გაქვთ ჩაფიქრებული?

- ალბათ, ეს საუბარიც საპატიო ადგილს დაიკავებს იმ წიგნში, რომელზეც ვმუშაობ. ყველაფერი უფლის ნებაა. თავს მოვალედ მივიჩნევ, საზოგადოებას, თაობებს წარსული წიგნებში შემოვუნახო.

> ***„ჩვენ დავიწყეთ რიკიხეთის ტერიტორიაზე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა. სოფლებში საცხოვრებელი სახლების, დამხმარე ნაგებობების მშენებლობის ბუმი იყო. იყო სოფლები, სადაც ერთდროულად 10-15 სახლი ხარაჩოებს იხსნიდა. მოსახლეობის ცხოვრების დონე აამაღლა თამბაქოს კერძო სექტორში გაშენებამ და შესასყიდი ფასების მაქსიმალურმა მატებამ. ეკონომიკური აღმასვლა კულტურის, ხელოვნების განვითარებას, ახალი ღონისძიებების წამოწყებას ხელს აძლევდა.***

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შორის ყველაზე მეტი უკრაინის მოქალაქეა

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში (იანვარი - მარტი) საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად უცხო ქვეყნის 364 მოქალაქე დარეგისტრირდა, საიდანაც ყველაზე მეტი - 126 ადამიანი უკრაინის, ხოლო 21 - რუსეთის მოქალაქეა. ამავე პერიოდში თავშესაფრის მაძიებელთაგან 52 პირი არის თურქეთის მოქალაქე, ირანის - 31, ავღანეთის - 17, ეგვიპტის - 16.

რაც შეეხება სტატუსის მინიჭებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, თავშესაფრის მაძიებელთაგან წლის პირველ კვარტალში ჰუმანიტარული სტატუსი სულ 51-მა პირმა მიიღო, მათგან უკრაინის 13-მა და რუსეთის არცერთმა მოქალაქემ, ასევე ავღანეთის 21-მა და იემენის 7-მა მოქალაქემ.

ლტოლვილის სტატუსი მოცემულ პერიოდში არც უკრაინის და არც რუსეთის მოქალაქეებს არ მინიჭებიათ. ეს სტატუსი უცხო ქვეყნის სულ 9 მოქალაქემ მიიღო, მათ შორის არიან ეგვიპტის, ავღანეთის, პაკისტანისა და თურქეთის მოქალაქეები.

სამ თვეში სტატუსის მინიჭებაზე უარი უცხო ქვეყნის 194 მოქალაქეს ეთქვა, მათ შორის რუსეთის 10 და უკრაინის არცერთ მოქალაქეს. ასევე, სტატუსის მინიჭებაზე უარი მიიღო ირანის 50-მა, ეგვიპტის 30-მა, თურქეთის 21-მა და იორდანიის 14-მა მოქალაქემ.

ამავე პერიოდში, საქართველოდან უცხო ქვეყნის სულ 40 მოქალაქე გააძევეს, საიდანაც 4 რუსეთის მოქალაქეა. გაძევებულთა შორის ასევე არიან თურქეთის, ირანის, ინდოეთის და ეგვიპტის მოქალაქეები.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის პირველ სამ თვეში განსაკუთრებულად გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა რუსეთიდან და უკრაინიდან. კერძოდ, გასული 2021 წლის განმავლობაში საქართველოში თავშესაფრის მაძიებლად უკრაინის მხოლოდ 3, ხოლო რუსეთის 54 მოქალაქე იყო რეგისტრირებული.

ცნობისთვის, ლტოლვილის სტატუსი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, იმყოფება საქართველოში, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ შეუძლია ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

ჰუმანიტარული სტატუსი კი ენიჭება პირს, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, ვერ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პირობებს და აკმაყოფილებს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს: იძულებული იყო დაეტოვებინა თავისი წარმოშობის ქვეყანა ძალადობის, გარე აგრესიის, ოკუპაციის, შიგა კონფლიქტების, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ან საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი დარღვევის გამო; სამართლებრივი საფუძვლების, კერძოდ, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების გამო არ შეიძლება იძულებით დაბრუნებულ იქნეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში და რომელსაც არ შეუძლია გაემგზავროს სხვა ქვეყანაში; წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება სერიოზული საფრთხე შეექმნას მის სიცოცხლეს ან დაირღვეს მისი უფლებები.

ყველა ადამიანში ცხოვრობს „პატარა პრინცი“

ნანა აბულაძე 591 98 59 17

გიორგი ჩხაიძის რეჟისორობით ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში არსებულ მარიონეტულ სივრცეში, ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ნაწარმოების მიხედვით, სპექტაკლი „პატარა პრინცი“ დაიდგა



როგორც რეჟისორმა გვითხრა, სხვა მარიონეტული სპექტაკლებისგან განსხვავებით, აქ კონკრეტული მარიონეტები უნივერსალურია მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, ანუ ისინი გვევლინებიან არა როგორც თოჯინები, არამედ როგორც ადამიანები. აღნიშნული განაპირობა რეალისტურმა დეკორაციებმა და ადამიანებზე მაქსიმალურად მიმსგავსებულმა მარიონეტებმა, რომლებიც მსახიობებთან ერთად განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიან. მისივე განმარტებით, სპექტაკლი ანიმაციური ფილმის პრინციპითაა წარმოდგენილი.

არსებობს სპექტაკლის ორი ვერსია: ერთი - ცოცხალი შესრულებით, ხოლო მეორე - ანიმაციური ფილმის პრინციპით (მსახიობები ცოცხლად, სცენაზევე ქმნიან მულტიპლიკაციურ ფილმს).

ეს არის ყველა პერსონაჟის განსაკუთრებული სიზმარი, სადაც ისინი ხედავენ თავიანთ ბავშვობას. სპექტაკლის თემა მარადისობაა, იდეა კი იმაში მდგომარეობს, რომ არ აქვს მნიშვნელობა ადამიანში თვისებებსა და თავისებურებებს, ბოროტია თუ კეთილი, მასში ყოველთვის ცოცხლობს პატარა პრინცი. აღნიშნულ სპექტაკლსა და თეატრში შექმნილ მარიონეტულ სივრცეზე გაზეთ „აჭარასთან“ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და რეჟისორმა გიორგი ჩხაიძემ ისაუბრა.

- ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი ყოველ თეატრალურ სეზონზე ცდილობს, მაყურებლის წინაშე ახალი ინოვაციური პროექტით წარსდგეს. 2017 წლის შემდგომ, როცა მე მოვედი თეატრში, რეპერტუარში არცერთი მარიონეტული სპექტაკლი არ გახლდათ, უფრო მეტიც, 80-იანი წლების შემდეგ ამ თეატრში მარიონეტული სპეციფიკის სპექტაკლი არ გამართულა. ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, ძალიან საინტერესო იყო, თუმცა, ამავდროულად, რთული - მარიონეტებით სპექტაკლის გაკეთება, თოჯინებთან მუშაობა. ჩვენი პირველი მარიონეტული სპექტაკლი გახლდათ „მიაგული“. რომელიც იყო სატესტო პროექტი როგორც თოჯინების, ასევე დრამატურგიული მიმართულებით. დასის მსახიობებმა, ჩვენ ყველამ ერთად გავბედეთ და მოვკიდეთ მარიონეტული სპექტაკლის შექმნას ხელი. შეიძლება ითქვას, ჩემი ახირება იყო, რომ მარიონეტები მაქსიმალურად ჰგავნებოდნენ ადამიანებს, შესაბამისად, თითქმის ყველა თოჯინა არის სილიკონის, მარიონეტებიც სილიკონისგან გავაკეთეთ. ქალბატონმა მარინა ფრანგიშვილმა შექმნა ფანტასტიკური კოსტიუმები, რის შემდეგაც პირველი სპექტაკლი გაკეთდა. ამ სპექტაკლს ნამდვილად დიდი გამოხმაურება მოჰყვა და რომელიც დღემდე რეპერტუარშია. ჩვენთვის ეს ყველაფერი იყო გამოწვევა, რომელიც დავძლიეთ და მივიღეთ გარკვეული შედეგი. სპექტაკლმა უკრაინაში საუკეთესო რეჟისურისთვის აიღო ჯილდო, რაც ჩემთვის მოტივაცია იყო, თოჯინების თეატრში გაცოცხლებულიყო კიდევ ერთი მარიონეტული სპეციფიკით შესრულებული სპექტაკლი. როგორც რეჟისორს და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ჩამომიყალიბდა ის აზრი, რომ ამ ქალაქში და, კერძოდ, ჩვენი თეატრის კედლებში უნდა ყოფილიყო მარიონეტული სპეციფიკის სპექტაკლების ადგილი. გვქონდა პატარა სივრცე თეატრში, სადაც გავაკეთეთ ლაბორატორიული მინიატურული სახელოსნო, მარიონეტული სივრცე, შეიძლება ითქვას, პატარა თეატრი - თავისი მაყურებლით. ვმუშაობ იმ მსახიობებთან, ვისაც მარიონეტების მართვაში ხელი კარგად აქვს გაწაფული, რადგან სცენაზე ეს საკმაოდ დიდ სირთულეებთან და მოხერხებულობასთანაა დაკავშირებული. სპექტაკლზე დამსწრეებს უნდა შეექმნათ განცდა, რომ სცენაზე თამაშობენ ადამიანები, თავიანთი განცდებით, მოძრაობებით, ემოციებით. რაც შეეხება ეგზიუპერის „პატარა პრინცს“, ესეც ჩემი ახირება იყო - გამეკეთებინა მარიონეტულ სივრცეში სპექტაკლი მოზარდებისთვის. დავიწყეთ მუშაობა, მაგრამ პანდემიამ მოგვისწრო, მოგვიწია ცოტა ხანს შეყოვნება, თუმცა ამ პერიოდშიც ვცდილობდით, არ გავჩერებულიყავით. გამოვიდა, რომ 2 წლის განმავლობაში ვემზადებოდით „პატარა პრინცისთვის“, ყოველდღიურად იცვლებოდა ფორმა, იდეა, თუმცა ერთი ვიცოდით, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა დაგვემთავრებინა დაწყებული საქმე. ფანტასტიკური თოჯინები გამოვიდა, აქვე იმასაც ვიტყვი, რომ როგორც მე და ჩემი მსახიობები დავეუფლეთ მარიონეტული სპეციფიკის თოჯინებთან მუშაობას, სახელოსნომაც ძალიან კარგად გაართვა თავი ასეთი ტიპის თოჯინების აწყობას, დაიხვეწა ტექნიკა, მასალები და ჩვენ თითქმის იდეალური თოჯინები მივიღეთ ამ ჟანრში. ჩემი ბოლო თოჯინები მირანდა გურგენაძეს ეკუთვნის, რომელიც არის ჩვენი თეატრის მხატვარ-მოქანდაკე. მას უსიტყვოდ ესმის, რა მჭირდება სცენაზე. სცენოგრაფია მე მეკუთვნის, თუმცაღა, ჩემი ასისტენტი მერი დარცმელიძე გახლავთ, რომელიც იმ პატარა სამყაროს მიცოცხლებს და ფრთებს ასხამს, რომელსაც მე ხანდახან ფურცელზე ვუხატავ და ვაწვდი მას რეალობაში გადმოსატანად. ვფიქრობ, მარიონეტული სამყარო თავისი შესაძლებლობებით უკიდეგანოა და ამას მოწმობს ჩვენ მიერ განხორციელებული სპექტაკლები. შეიძლება ითქვას, 2022 წლის 14 იანვარს ბათუმში პირველად დაიბადა მარიონეტული თეატრი, მე ვიტყოდი - ამ თეატრში კარგად გაიმყარა პოზიციები „პატარა პრინცმა“. ეს იყო ჩვენთვის სიახლის დასაწყისი, რომელმაც როგორც რეჟისორს, შემიცვალა შემოქმედებითი გზა. „პატარა პრინცმა“ ჩვენი მოლოდინი გაამართლა. აქვე იმასაც დავამატებ, რომ ტრადიციული ბილეთებისგან განსხვავებით, მარიონეტულ სივრცეში ბილეთი 12 ლარი ღირს. ჩვენდა გასაოცრად, არასდროს ყოფილა პრეტენზია ბილეთის ფასთან დაკავშირებით, პირიქით, ანშლაგია, დღეში ორ-ორ სპექტაკლს ვთამაშობთ იმის გამო, რომ მაყურებელმა ნახოს და კიდევ ერთხელ თავის თავში გააცოცხლოს პატარა პრინცი. ვფიქრობ, ეს დასაწყისია. ვაგრძელებთ მუშაობას, ამ ეტაპზე, მარიონეტულ სივრცეში „ხანუმა“ იდგმება, რომელსაც კობა ფაცურია, ჩვენი თეატრის მსახიობი და რეჟისორი, დგამს, თანარეჟისორი გახლავართ მე. წინ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი სიახლეები ელოდება ჩვენი თეატრის ერთგულ მაყურებელს, რომელთა კეთილგანწყობას ყოველდღე ვგრძნობთ, - გვითხრა გიორგი ჩხაიძემ.

ამაგდარი

ღვაწლმოსილი, სხვათა დამფასებელი

ნაყოფიერი და მრავალფეროვანია ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ისტორიკოსის, პროფესორ სერგო დუმბაძის შემოქმედება. გამოქვეყნებულ ნაშრომებში (15 მონოგრაფია, 500-ზე მეტი სამეცნიერო, პოპულარული და საგაზეთო პუბლიკაცია) ავტორი ახლებური რაკურსით აშუქებს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობისა და ომის პერიოდს, ცალკეული დარგების - განათლების, კულტურის, კავშირგაბმულობის განვითარების ისტორიას, მადლიერებით მოიხსენიებს მათი ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ამაგს

ბატონი სერგო ჩვენს რეგიონში მრავალი სასიკეთო წამოწყების ინიციატორია. მისი წინადადებით დაარსდა სახალხო დღესასწაული „სელიმობა“ - პატრიოტი მამულიშვილის, დიდი სახელმწიფო მოღვაწის სელიმბეგ ხიმშიაშვილის დამსახურების წარმოსაჩენად. ოსმალებმა სელიმი ხიხანის ციხეში მიამწყვდიეს, დაიჭირეს და თავი მოჰკვეთეს. „მე თავს მჭრით, მაგრამ აჭარას საქართველოს ვერ დააცილებთ, მე ამის ანდერძს ჩემს შვილებს დავუტოვებ“, - სიკვდილის წინ უთქვამს გმირ სელიმს.

სერგო დუმბაძემ პატივი მიაგო აგრეთვე სელიმის მემკვიდრეს - ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში აჭარის მმართველს, ოსმალთა მარწუხებისგან განთავისუფლებისა და დედა-საქართველოსთან აჭარის დაბრუნების შეუპოვარი მებრძოლის, გენერალ შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის ღვაწლს. შერიფ ხიმშიაშვილმა თავისი მებრძოლი რაზმით დიდად შეუწყო ხელი რუსეთის არმიას აჭარის განთავისუფლებისთვის ომში.

სერგო დუმბაძე განსაკუთრებული პატივისცემით, მოწიწებითა და სიამაყით მოგვითხრობს დიდი მეცნიერისა და მწერლის, აჭარის ერისთავ აბუსერისძე ტბელის სამეცნიერო, ლიტერატურული და აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ. ავტორს არც თავისი თანამედროვე, ხალხის ინტერესების დამცველი, მათი მოამაგე მამულიშვილების ღვაწლი გამორჩენია - სიყვარულითა და დიდი პატივისცემით წერს აჭარის გამორჩეული ხელმძღვანელების, ავტორიტეტული მოღვაწეების - დავით მამულაძის, ალექსანდრე თხილაიშვილის, ვახტანგ პაპუნიძის, იური უნგიაძის და სხვათა შესახებ.

სერგო დუმბაძე დიდი პატივისცემით და სიამაყით მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომში აჭარიდან გაწვეულთა, მათ შორის, უმაღლესი სკოლის თანამშრომელთა გმირობაზე. არც რიგითი მუშაკების - ფუტკარივით მშრომელი მასწავლებლის, ფოსტალიონის, ან კოლმეურნის შრომა დაუტოვებია ყურადღების გარეშე. სიყვარულით და მადლიერებით იხსენებს ავტორი თავის მასწავლებელს, მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ სტამბოლიშვილს, მასწავლებლებს: სკენდერ ბაჯელიძეს, მეჯიდ გაბაიძეს, იტალიელ მეცნიერ-ბოტანიკოსს ემილ ლევიეს, რომელიც ბათუმში გემით ჩამოვიდა მცენარეების შესასწავლად.

ავტორი, პროფესიით პედაგოგი, ხაზგასმით აღნიშნავს „დედაენის“ უდიდეს როლს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში, უდიდესი პატივისცემით და მადლიერებით ეფერება მშობლიურ ენას.

1881-1950 წლამდე გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან აჭარის სკოლებში პედაგოგებად, პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში სამუშაოდ მოვლინებული იყო სულ 25 000 ადამიანი. ბატონი სერგოსა და მისი თანამოაზრეების ინიციატივაა, ამ ხალხისადმი მადლიერების ნიშნად, ბათუმში დაიდგას სათანადო მემორიალი.

საინტერესოა ხიხაძირის ხეობის ტოპონიმების: - „ხიხა“, „ხიხათა“, „ხირხათი“, „ხირხანი“, „ხიხაძირი“, „ქოჩახი“, „ერდო“, „ბაკო" - სერგო დუმბაძისეული ინტერპრეტაცია.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ პროფესორ სერგო დუმბაძის შემოქმედებას, სიყვარულითა და რუდუნებით ნაკეთებ საქვეყნო საქმეებს ლაიტმოტივად გასდევს მადლიერება ერისა და ქვეყნისათვის ნაკეთები კარგი საქმეებისათვის.

ამბობენ: „არაფერი ისე არ ამშვენებს ადამიანს, როგორც მადლიერება, სხვათა ამაგის დაფასების უნარი“. ამერიკელებმა მადლიერების დღე დააწესეს. გამონაკლისის გარდა, ჩვენში დიდად არ იციან მადლიერების გამოხატვა. დიდი კაცი თუ გამოგვერია, დავკორტნითო, ჩიოდა კონსტანტინე გამსახურდია, კარგია მუდამ მტრიანიო, - წუხდა ვაჟა-ფშაველა.

1995 წელს სახელოვანმა მეცნიერებმა და მოღვაწეებმა თემურ და ზურაბ კომახიძეებმა ბათუმში ფრიად ორიგინალური საზოგადოება დააფუძნეს: „აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოება“. ამ ტიპის ორგანიზაცია ერთადერთია საქართველოში. 2007 წლიდან დღემდე ამ საზოგადოების თავმჯდომარეა სერგო დუმბაძე. საზოგადოება ეხმარება დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს ღვაწლმოსილ ადამიანთა ამაგის დაფასების, მათი ხსოვნის უკვდავყოფის, საზეიმო საღამოების ჩატარებისა და სხვა საკითხების მოგვარებაში. საზოგადოების დევიზია: „ღვაწლის დაფასება თუ ადამიანს სიცოცხლეს ვერ უხანგრძლივებს, უხალისებს მაინც“. გმადლობთ ღვაწლისათვის, დადებითი ემოციები ნამდვილად უხანგრძლივებს ადამიანებს სიცოცხლეს.

ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას გისურვებთ ჩვენო კეთილო მეგობარო!

ჯუმბერ უნგიაძე,
აკაკი ბერიძე

აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში განიხილეს

ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის უმაღლესი საბჭო ავრცელებს. მისივე ცნობით, ანგარიში კომიტეტს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარუდგინა.

„ჯაბა ფუტკარაძემ უმაღლესი საბჭოს წევრებს ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების, რეგიონისთვის მნიშვნელოვანი პროექტებისა და პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ მიუხედავად პანდემიისა, შარშან აჭარაში არც ერთი პროექტი არ შეჩერებულა.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მარინე გვიანიძის განცხადებით, 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მზადაა პლენარულ სხდომაზე გასატანად.

კითხვა-პასუხის შემდეგ, კანონმდებლებმა ჯაბა ფუტკარაძის კიდევ ერთი მოხსენება მოისმინეს. მინისტრის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა კომიტეტმა ცნობად მიიღო“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

„მარაგი დღეისათვის გვაქვს საკმარისზე მეტი, თუმცა გვაქვს ფქვილის და არა ხორბლის სახით“

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყანაში ხორბლის იმპორტი მეტწილად ფქვილის იმპორტმა ჩაანაცვლა. როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, ხორბლის ფქვილის დეფიციტის შექმნის საფუძველი არ არსებობს.

„იაფი ფქვილის მარაგების ფონზე, ავტომატურად შემცირებულია ხორბლის იმპორტი და ხორბლის მარაგები. ქვეყანაში ხორბლის ფქვილის დეფიციტის შექმნის საფუძველი არ არსებობს. მარაგი დღეისათვის გვაქვს საკმარისზე მეტი, თუმცა გვაქვს ფქვილის და არა ხორბლის სახით.

დაახლოებით თვენახევარ-ორ თვეში დაიწყება ხორბლის ადგილობრივი მოსავლის აღება. ივლისი-აგვისტო მსოფლიოში მარცვლეული კულტურების ახალი მოსავლის მიღების სეზონია. ახალი მოსავალი ახალი საფასო პოლიტიკის შემუშავებას განაპირობებს. დღეისათვის ხორბლის ფასები მკვეთრადაა გაზრდილი - პრაქტიკულად გაორმაგებულია.

იმედი გვაქვს, ფასების კლების ტენდენცია დაიწყება. შესაბამისად, უკვე ამ პერიოდისთვის, საქართველოს მთავრობა შექმნილი ვითარების შესაბამისად იმოქმედებს“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცნობისთვის: „საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელ დირექტორ ლევან სილაგავას განცხადებით, ქვეყანაში ხორბლის მარაგი ამოწურულია და უახლოეს დღეებში ყველა წისქვილი გაჩერდება. მისი თქმით, დღეს ქვეყანაში მხოლოდ ფქვილი შემოდის, ხორბალი კი შეკვეთილიც არაა, რისი მიზეზიც, სილაგავას განმარტებით ისაა, რომ ფქვილზე საიმპორტო გადასახადი არ არის, ხორბალზე კი მცურავი ბაჟი მოქმედებს.

ამირან გურიელიძე

თუშიშვილი VS ჰარასავა... იაპონელები თბილისში მოდიან

თბილისის გრანდ-სლემის დაწყებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი. უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ საქართველოს დედაქალაქში იაპონიის ნაკრებს ვიხილავთ - „ამომავალი მზის ქვეყანა“ 5 ძიუდოისტით გვეწვევა. ეს იაპონელების პირველი ვიზიტია 2014 წლის შემდეგ, რაც თბილისის ტურნირს გრანდ-სლემი ეწოდა. ბოლოს ისინი საქართველოში 2013 წელს იყვნენ, როცა ტურნირს ჯერ კიდევ „მსოფლიო თასი“ ერქვა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლაშა გუჯეჯიანმა თბილისში ჩამოსვლა შოჰეი ონის სთხოვა, რომელთანაც ლაშა შავდათუაშვილს ოლიმპიადის ფინალში განცდილი მარცხის გამო რევანში სწყურია. სამაგიეროდ, +100 კგ-ში, დიდი ალბათობით, თუშიშვილისა და ჰარასავას ძალიან საინტერესო და პრინციპული შეხვედრა უნდა ვიხილოთ.

თბილისის გრანდ-სლემი 3-5 ივნისს ჩატარდება.

ამირან გურიელიძე

დიდი ბრიტანეთის სანქციები – პუტინის ოჯახსა და ახლო გარემოცვას



დიდმა ბრიტანეთმა ვლადიმირ პუტინის ოჯახსა და მისი ახლო წრის ათეულ წარმომადგენელს, მათ შორის, ქალს, რომელიც დიდი ხანია პუტინის პარტნიორად არის მიჩნეული, სანქციები დაუწესა. ამის შესახებ ინფორმაციას „გარდიანი“ ავრცელებს. ის იტყობინება, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული აკრძალვები მოიცავს აქტივების გაყინვასა და მოგზაურობის აკრძალვას პუტინის ყოფილ მეუღლე ლუდმილა ოჩერეტნაიასთვის, მედიახელმძღვანელისა და პუტინის სავარაუდო პარტნიორ ალინა კაბაევასა და კაბაევას ბებიის - ანა ზაცეპლინასთვის.

„პუტინი ეყრდნობა მის ოჯახს, ბავშვობის მეგობრებსა და შერჩეულ ელიტას, რომლებმაც მისი მმართველობით ისარგებლეს და, თავის მხრივ, მისი ცხოვრების წესს მხარს უჭერენ. მათი ჯილდო რუსეთის სახელმწიფო საქმეებზე გავლენაა, რაც მათ ფორმალურ პოზიციებს სცილდება“, - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

ფინეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინთან „აზოვის“ მებრძოლების „აზოვსტალიდან“ ევაკუაციის საკითხს განიხილავს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ იტალიურ ტელეკომპანია Rai 1-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, ამ საკითხის გადაწყვეტა რუსეთის ფედერაციაზეა დამოკიდებული. ზელენსკიმ იმედი გამოთქვა, რომ ფინეთის პრეზიდენტის შუამდგომლობა ამ საკითხის მოგვარებაში დაეხმარება. „ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, იმაზე მეტსაც კი, ვიდრე შესაძლებელია. არ უნდა გავჩერდეთ, ჩვენ ვიბრძოლებთ ყველა ადამიანისათვის. ახლა კი საკითხი ეხება დაჭრილებს, ცოცხლებს და გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ მიცვალებულებსაც არ დავტოვებთ იქ, რადგან მათ ელიან მათი მამები, ცოლები, ქმრები. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ თითოეული ცოცხალი ადამიანისათვის“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

ვოლოდიმირ ზელენსკი მზადაა, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდეს და შუამავლების გარეშე ესაუბროს. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრას უნდა ჰქონდეს დიალოგის და არა ულტიმატუმის ხასიათი. „რაც შეეხება რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებებს, საკითხი ყოველდღიურად რთულდება. მე პირადად ასე მივიჩნევ, რადგან ყოველდღე ხდება პატარა ქალაქების დეოკუპაცია უკრაინაში და ვხედავ დაცინვის, წამების, დახვრეტის კვალს, რომელიც რუსმა სამხედროებმა დატოვეს. სწორედ ამიტომ რთულდება მოლაპარაკებების შესაძლებლობა“, - განაცხადა ზელენსკიმ. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, უკრაინის საზოგადოებას მთელი 8 წლის განმავლობაში სურდა რუსეთის ფედერაციასთან საუბარი. „ახლა საზოგადოება ამის მიმართ პოზიტიურად არ არის განწყობილი. მე, როგორც პრეზიდენტი, მზად ვარ, ვესაუბრო პუტინს, მაგრამ მხოლოდ მას, შუამავლების გარეშე და დიალოგის პირობით, არა ულტიმატუმის“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

მთელი ღამის განმავლობაში რუსი ოკუპანტები „აზოვსტალის“ ტერიტორიაზე საარტილერიო და საჰაერო თავდასხმას ახორციელებდნენ. ახლა მეტალურგიულ ქარხანაზე რუსი ქვეითების შეტევაა, - ამის შესახებ ინფორმაციას „აზოვის“ პოლკის მეთაურის მოადგილე სვიატოსლავ პალამარი ავრცელებს. „დაბომბვა მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა, საავიაციო და საარტილერიო. ახლა ქარხნის ტერიტორიის შტურმი ქვეითების დახმარებით გრძელდება. ქვეითები შტურმს ჯავშანტექნიკისა და ტანკების მეშვეობით ახორციელებენ“, - განაცხადა პალამარმა.

* * *

რუსები ყველა ღონეს იყენებდნენ ლუგანსკის ოლქში უკრაინის თავდაცვის გარღვევისთვის და სცადეს შტურმი რუბეჟნოეზე, ზოლოტეზე, ნიჟნესა და სევეროდონეცკის შემოგარენზე, - ამის შესახებ ლუგანსკის ოლქის გუბერნატორმა, სერგეი გაიდაიმ განაცხადა. მისი თქმით, რუსები კიდევ ერთხელ შეეცადნენ, მდინარე სევერსკი დონეცი გადაელახათ. „რაშისტები ვერ ახერხებენ უკრაინელების ბრძოლაში დამარცხებას, ამიტომ ისინი მიზანმიმართულად ანადგურებენ ოლქს და მას უდაბნოდ აქცევენ. ჩვენ მიერ კონტროლირებადი დასახლებების უმეტესობა 70%-ით არის დანგრეული, ოკუპაციის ქვეშ მყოფი - კიდევ უფრო მეტად“, - აღნიშნა გაიდაიმ.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი აცხადებს, რომ რუსეთი თავდაპირველად უკრაინის ნატოში გაწევრიანებას ეწინააღმდეგებოდა, ახლა კი მისი ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგაც გამოდის, რაც კლასიკური ფარისევლობაა. „ეს ამტკიცებს, რომ მოსკოვის სიტყვებს ფასი არც ქაღალდზე აქვს და, მით უმეტეს, არც საუბრის დროს. კარგი ამბავი ისაა, რომ მსოფლიოს აღარ აღელვებს ბარბაროსებისა და მოროდიორების აზრი“, - წერს „ტვიტერში“ მიხაილო პოდოლიაკი. მანამდე გაეროში რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე დიმიტრი პოლიანსკიმ განაცხადა, რომ მოსკოვის პოზიცია უკრაინის ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანებასთან დაკავშირებით შეიცვალა და ახლა ის უკრაინის ნატოში გაწევრიანების პოზიციის მსგავსია.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»

პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»

მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა

ტელ: 27-13-31

აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 13/05/22, 20^{35} სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

«დიდაჭარობა» - განსხვავებული ფორმატით

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარში ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის და საქართველოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის შემობრძანების (ანდრიაობის) დღისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა-ლოცვა გაიმართა, მანამდე რამდენიმე წუთით ადრე, სამების საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა არქიმანდრიტებმა იოანემ (მჭედლიშვილი) და პავლემ (ჭანტურიძე), იღუმენმა პახუმმა (ღუბელაძე) თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ტრაპიზონის ოფის უბნიდან 11 მაისს წამობრძანებული ღვთისმშობლისა და აწყურის (ასლი) ხატები ტაძარში დაასვენეს

- რამდენიმე წლის წინ დაწყებულ ტრადიციას წელსაც არ ვუღალატეთ, - გვითხრა არქიმანდრიტმა იოანემ, - ხულოში სადღესასწაულო წირვა-ლოცვას დავესწრებით, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის, ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად დიდაჭარაში, თარანგელოს მთაზე პარაკლისს გადავიხდით და გოდერძის უღელტეხილის გავლით ხატებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტაძრებს შემოვატარებთ, ბოლოს სამების საკათედრო ტაძარში დავასვენებთ. ჩვენი დევიზია: «წმინდა ანდრიას გზით!»

კოვიდპანდემიამ, მასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა საღვთო და ეროვნულ დღესასწაულებს, ტაძრებში მოსალოცად მოსული მრევლის რაოდენობასაც უარყოფითი კვალი დააჩნია. 2007 წელს საქართველოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის შემობრძანების დღესთან დაკავშირებული დღესასწაული «დიდაჭარობა» აღარ გამართულა. არა მარტო სხალთის ეპარქიაში, ქვეყნის სხვა მართლმადიდებლურ ტაძრებში აღვლენილ წირვა-ლოცვებში მრევლის სიმცირე თვალნათლივ ჩანდა.

12 მაისს სხალთის ტაძარს მრევლი არ აკლდა.

- ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მკვიდრი ვარ, - გვითხრა 82 წლის გიორგი აბაშიძემ, - ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, რამდენიმე წიგნის ავტორს მეუფე

სპირიდონთან ნათელმირონობა მაკავშირებს. მანძილს, ასაკს თავისი გააქვს. იმ ტაძარში ხშირად ვერ მოვდივარ, სადაც მოვინათლე. ღვთისმსახურება დეკანოზმა გიორგიმ (ფუტკარაძე) ჩაატარა. წინაპართა სულებმა, წმინდა ანდრია პირველწოდებულის მადლის ძალამ აქეთ მიხმო. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მოლოცვაზე მობრძანებულ მრევლს ვულოცავ ეროვნულ დღესასწაულს.

საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, საპატრიარქოს ხულოსა და ხიჭაურის სკოლების პედაგოგების, ქედის, შუახევის, ხულოს მერების როლანდ ბერიძის, ომარ ტაკიძის, ვახტანგ ბერიძის, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რენარ ბოლქვაძის მსგავსად, ტაძარში მოსალოცად მივიდნენ ბათუმის მერვე საჯარო სკოლის პედაგოგები, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სხვა უწყებების წარმომადგენლები, აჭარის მთიანეთიდან ქვეყნის სხვა რეგიონებში გადასული მართლმადიდებლები და ადგილობრივი მრევლი.

- დღეს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობის, საქართველოში წმინდა ანდრია პირველწოდებულის შემობრძანების (ხსენების) დღეა. აჭარას, ხულოს რაიონს ვულოცავთ ამ დღეს. მომლოცველები ბათუმის სკოლებიდან წირვა-ლოცვას აქ ვესწრებით. ამით პატივს მივაგებთ საქართველოში ქრისტიანობის პირველ მქადაგებელს წმინდა ანდრიას იმ ღვაწლისთვის, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოსა და ჩვენი ერის წინაშე აქვს. ამ ულამაზესი კუთხიდან, წმინდა ადგილებიდან ეროვნული დღესასწაულს მივულოცავ სრულიად საქართველოს, - გვითხრა ბათუმის მერვე საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილემ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მზია თევზაძემ.

საზეიმო წირვა-ლოცვა სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა, ეპარქიის მღვდელმსახურებმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით, ხატების შემომტარებლებმა არქიმანდრიტებმა იოანემ, პავლემ და იღუმენმა პახუმმა

აღავლინეს. მისი დასრულების შემდეგ მეუფემ მრევლს დიდაჭარაში უხმო.

2007 წელს ილია II, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, თარანგელოს მთაზე პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია შედგა. დოქტორანტმა, შემდგომში ცნობილმა საჯარო მოხელემ, პროფესორმა ტარიელ ებრალიძემ მნიშვნელოვან ექსპონატებს მიაკვლია, რომლებიც 20 საუკუნის წინანდელია.

- მაშინ აქ ამოსვლა რთული იყო. მაღალი გამავლობის ტრანსპორტსაც უჭირდა დაკიდებული აღმართისა და ოღრო-ჩოღრო გზის დაძლევა. ახლა ისტორიულ ძეგლთან, სადაც ქრისტეშობიდან 38 წელს წმინდა ანდრიამ სახარება იქადაგა და პირველი ტაძარი აიგო, ასფალტ-ბეტონისსაფარიანი გზა მოდის. დღესაც მომლოცველები მსუბუქი ავტომანქანებით მოვედით, - გვითხრა პროფესორმა ტარიელ ებრალიძემ.

თარანგელოს მთაზე პარაკლისის გადახდის შემდეგ კომენტარი მეუფე სპირიდონს ვთხოვეთ:

- 12 მაისი ქართველი მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი დღეა. საამაყო გვაქვს, რომ თარანგელოდან, ამ უწმინდესი ადგილიდან სრულიად საქართველოს ქრისტიანობის მადლი მოეფინა. დიდაჭარა ჩვენი ქრისტიანობის ბალავარია. უფლის ნებით, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ჩვენი ინიციატივითა და ქველმოქმედებით ადამიანების თანადგომით, მალე აქ ტაძრის მშენებლობა დაიწყება. უხუცეს დიდაჭარლებს როსტომ წულუკიძეს, აწ განსვენებულ თამაზ წულუკიძეს, ლევან გობაძეს ის დროც ახსოვდათ, როცა ჯერ კიდევ ნატაძრალზე შემაღლებული კედლები იყო. დრომ ისინი იავარქმნა და ახლა ქვებადაა მიმობნეული. მადლობა იმ დიდი სამუშაოებისთვის, თანადგომისთვის, რაც აქ მოსასვლელ გზაზე გაკეთდა. უფლის ნებით, მომავალში «დიდაჭარობაზე» სამეცნიერო-პრაქტიკული, კულტურული ღონისძიებებიც გვექნება, - გვითხრა მან.

რელიგიური რიტუალების დასრულების შემდეგ საზეიმო ტრაპეზი შედგა.

- ეს დღეები შინაარსობრივად დატვირთული იყო. 7 მაისს «ჩაობა», 9 მაისს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება ვიზეიმეთ. დღეს ეროვნული დღესასწაული აღინიშნა. სულ მალე ოჯახის სიწმინდის დაცვისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეებს აღვნიშნავთ. ადამიანებს ერთმანეთი, სახალხო ზეიმები მოგვნატრებია. ეს დღესაც წარმოჩნდა, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაოს მკვიდრმა მზია შავაძემ.

ბათუმელი ახალგაზრდები - საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მწერალი და დრამატურგი გენრი დოლიძე ვილნიუსში, საერთაშორისო ახალგაზრდულ თეატრალურ ფორუმზე - „ვერტიგო“ იმყოფება, სადაც ცნობილი დრამატურგებისა და რეჟისორების მასტერკლასებს, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდული და ექსპერიმენტული დასების სპექტაკლებს დაესწრება. გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას მან თავის შთაბეჭდილებებსა და ფორუმში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება

- „ვერტიგო“ ევროპაში ძალიან ცნობილი ახალგაზრდული თეატრალური ფესტივალია. მას ვილნიუსი უკვე ოც წელზე მეტია მასპინძლობს. ფორუმი მეხუთე დღეა მიმდინარეობს და ყოველდღე ერთმანეთზე უკეთეს პერფორმანსებს აჩვენებენ იტალიის, ლიეტუვის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების დასები. საამაყოა, რომ ამ დიდი ქვეყნების ცნობილი თეატრების გვერდით წარმოდგენილია საქართველოც, გამორჩეული რეჟისორის როინ დვალის დასით. უნიჭიერესი ბათუმელი ახალგაზრდები: მარიამ კაკაბაძე, საბა ბეჟანიძე, ეკატერინე გოგიტიძე, თორნიკე ტარიელაძე და ქეთი რომანაძე მარკ კამოლეტის პიესას წარმოადგენენ ჩემი ადაპტირებული სცენარით. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთზე ძლიერი, საოცარი და ერთმანეთისგან განსხვავებული წარმოდგენები ვიხილეთ ამ დღეების განმავლობაში, მჯერა, ჩვენი სპექტაკლიც არანაკლებ შთამბეჭდავი იქნება და ლიეტუვის პუბლიკის არანაკლებ მოწონებას დაიმსახურებს. ხვალიდან კი იწყება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი და არანაკლებ საინტერესო ნაწილი - ცნობილი რეჟისორებისა და დრამატურგების მასტერკლასები და ვორქშოპები. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ლიეტუვას, რომელიც საქართველოს ღირსეული სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარია ყველა სფეროში, ფესტივალის დირექტორს, ბატონ ოლეგას კესმინასს, რომელმაც საშუალება მოგვცა, ჩავრთულიყავით ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმში. ასეთი საერთაშორისო ღონისძიებები მნიშვნელოვანია როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე, რეჟისორებისა და დრამატურგებისთვის. ეცნობი ხელოვნების თანამედროვე ტენდენციებს, საზღვარგარეთ გაგაქვს შენი ქვეყნის კულტურა, ამყარებ ახ-

ალ კონტაქტებს, გეგმავ საერთაშორისო კოლაბორაციებს. შესაბამისად, ამ ფესტივალში მონაწილეობა უკვე წარმატებაა. მადლობა მინდა გადავუხადო აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი დასის მსახიობების ტრანსპორტირება. ხოლო, რაც შეეხება ჩემი და რეჟისორის მონაწილეობას ფესტივალსა და ფორუმზე, მთლიანად ლიეტუვის მხარემ უზრუნველყო, რის გამოც კიდევ ერთი მადლობა „ვერტიგოს“, - გვითხრა გენრი დოლიძემ.